

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
აპარატის უფროსის ანგარიში, 2020 წლის პერიოდში  
საკრებულოს აპარატში არსებული მდგომარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ

- საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 19 თანამშრომელი. მ/შ: ქალი - 13 კაცი - 6
- საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხა ასეთია:
  - პირველი რანგის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი- 1
  - მეორე რანგის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განყოფილების უფროსი- 2
  - მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი, განყოფილების უფროსის მოადგილე - 4
  - მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 6
  - სამტატო ერთეულით დასაქმებულია 13, მ/შ: ქალი-10, კაცი-3.
  - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია - 6 მ/შ: ქალი - 3 კაცი - 3
- ❖ საკრებულოს სახელფასო ფონდი განსაზღვრული იყო 515000 ლარის ოდენობით.
- ❖ გაიხარჯა შტატთან თანამშრომლებზე -50892 ლარი, შტატგარეშეზე - 51355 ლარი, სამივლინებო ხარჯებისათვის გაიხარჯა 509 ლარი.
- ❖ საკრებულოს წევრის (გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირისა) უფლებამოვალეობის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის განსაზღვრული იყო 90000 ლარი, გაიხარჯა 87225 ლარი. წლის განმავლობაში სახელმწიფო დანამატები და ფულადი ჯილდოები არ გაცემულა.
- ❖ სახელმწიფო ფონდის ეკონომიამ შეადგინა 6080 ლარი.
- ❖ ავტომანქანის სათადარიგო ნაწილებისა და მიმდინარე რემონტისათვის გამოყოფილი იყო 6000 ლარი, გაიხარჯა - 6204,7 ლარი.
- ❖ მიღებულია და ჩამოწერილია 35556,7 ლარის ღირებულების საავტომობილო საწვავი. სატელეფონო ხარჯებმა შეადგინა - 5513,86 ლარი.
- ❖ ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულებაა - 137 912 ლარი. მ/შ: ავტომობილები: TOYOTA Hilux -ემსახურება საკრებულოს თავმჯდომარეს, ხოლო HYUNDAI SONATA – ემსახურება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს. მათი საერთო ღირებულება შეადგენს - 68800 ლარს, მცირეფასიანი ინვენტარი- 49631 ლარი.
- ❖ საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარებულია ინვენტარიზაცია, ინვენტარის ჩამოწერას ადგილი არ ჰქონია.
- ❖ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულია - 35 წევრი, მ/შორის: ქალი-3 კაცი-32. პარტიული ნიშნით არჩეულია-15, მაჟორიტარული სიით -20 საკრებულოს წევრი.
- ❖ საკრებულოში შექმნილია საკრებულოს 5 კომისია და 5 ფრაქცია.
- ❖ საკრებულოში პოლიტიკური თანამდებობის პირთა რაოდენობაა -20, მ/შ: ქალი - 3, კაცი - 17 . საკრებულოს წევრების გარკვეული ნაწილი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის სხვადასხვა მუდმივმოქმედი თუ დროებითი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში.
- ❖ კუთვნილი სრული ანაზღაურებადი შვებულებით ისარგებლა აპარატის 8 თანამშრომელმა და საკრებულოს 12 წევრმა.
- ❖ საავადმყოფო ფურცელზე (ბიულეტენზე) არავინ იმყოფებოდა:
- ❖ წლის განმავლობაში ჩატარებულია 12 რიგითი და 8 რიგგარეშე საკრებულოს სხდომა.
- ❖ 12 რიგითი და 9 რიგგარეშე საკრებულოს ბიუროს სხდომა.
- ❖ საკრებულოს კომისიების 45 სხდომა, საკრებულოს ფრაქციების - 24 სხდომა. (ფრაქცია „ევროპული საქართველო-მოდრაობა თავისუფლებისათვის“ წლის განმავლობაში სხდომა არ ჩატარებია)
- ❖ საკრებულოს სხდომებზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულია 67 საკითხი, მიღებულია საკრებულოს 29 დადგენილება და 30 განკარგულება.

- ❖ გამოცემულია საკრებულოს თავმჯდომარის 29 ბრძანება. გაფორმებულია შესაბამისი სხდომების ოქმები და ატვირთულია ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ საიტზე.
- ❖ საკრებულოს სხდომებზე საკრებულოს წევრთა დასწრების სტატისტიკა ამ ანგარიშს თან ერთვის (დანართი N1 გვერდი).
- ❖ ადგილი არ ჰქონია ქვორუმის არარსებობის გამო სხდომის ჩაშლის არცერთ ფაქტს.
- ❖ საქართველოს კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისო საბჭოს მითითების შესაბამისად. სხდომები მიმდინარეობს წესების დაცვით - პირბადეების გამოყენებითა და დისტანციური დაშორებით. შემოდებულია სამუშაო დღეებში საკრებულოში მორიგეობის გრაფიკი.
- ❖ არ დაფიქსირებულა არასაკმატო მიზეზების გამო სხდომების გაცდენის ფაქტები.
- ❖ გავლილია და შეფასებულია საჯარო მოხელეთა პროფესიული შეფასების ყველა ეტაპი საკრებულოს აპარატის თანამშრომლები თავიანთ თანამდებობრივ მოვალეობებს ასრულებენ კარგად და საუკეთესოდ, რაც ასახულია მათი ეტაპობრივი პროფესიული შეფასების დოკუმენტებში.
- ❖ ფუნქციონირებს საკრებულოს ვებ გვერდიდან შიდა ელ.ფოსტა. ხელმისაწვდომია აპარატის თანამშრომელთა და საკრებულოს წევრთა ინდივიდუალური ელ.ფოსტები და საკონტაქტო ტელეფონები.
- ❖ მოწესრიგებულია საქმისწარმოება, საოქმე და საკანცელარიო დოკუმენტაცია, საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი დეკლარაციების დროული წარდგენა. საარქივო მასალების დროული ჩაბარება.
- ❖ საკრებულოს დადგენილებების, განკარგულების, საკრებულოს თავმჯდომარის პროექტები აპარატის შესაბამისი სამსახურების მიერ სრულდება კვალიფიცირებულად.
- ❖ ადგილი არ ქონია შრომის დისციპლინისა და შინაგანაწესის დარღვევის მნიშვნელოვან ფაქტებს, ამდენად არავის გამოცხადებია დისციპლინალური სასჯელი.
- ❖ საკრებულოში სხვადასხვა ინსტანციებიდან შემოსული იყო 23 კორესპოდენცია. დროულად რეაგირებული ჩამოწერილი იქნა 23; მოქალაქეთა მხრიდან რაიმე განცხადება ან მოხსენებითი ბარათი არ შემოსულა.
- ❖ უნდა აღინიშნოს, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საკრებულოს რეგლამენტის დაცვის საკითხებს, ხშირია შემთხვევები როცა მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოს სხდომებზე განსახილველი საკითხების პროექტები არ შემოდის დროულად და მოითხოვს განხილვას დროის უმოკლეს ვადაში, რის გამოც სპონტანურად იმართება საკრებულოს კომისიების, ბიუროს და საკრებულოს რიგგარეშე სხდომები, რაც თავის მხრივ იწვევს სხდომების ჩატარების ორგანიზაციულად უზრუნველყოფის პრობლემებს, ნორმატიული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში იურიდიულ ტექნიკურ თუ გრამატიკული სახის ხარვეზებს, საკრებულოს ზოგიერთი წევრი სხდომებზე ვერ გამოცხადების შემთხვევებს.
- ❖ აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრის (გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირისა) უფლებამოვალეობის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების წესში შასატანია გარკვეული ცვლილებები, რაც საშუალებას მოგვცემს ხარჯების ანაზღაურების რეალურ შესაძლებლობას, რადგანაც მოქმედი წესის შესაბამისად ფაქტიურად შეუძლებელია მათ მიერ რეალურად გაწეული ხარჯის ანგარიში, რის გამოც გვიწევს მათთვის თანხის ანაზღაურება რეალური, მაგრამ გარკვეული მოტივაციის საფუძველზე.
- ❖ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საკრებულოს შინაგანაწესისა და საკრებულოს წევრის ვალდებულების დაცვის საკითხებს. სამსახურში ან საკრებულოს სხდომაზე არ გამოცხადების შემთხვევაში საპატიო მოტივაციის დადგენილი დოკუმენტაციის წარდგენისა და თანამდებობრივი იერარქიის დაცვის კუთხით.
- ❖

- ❖ მეტი სრულყოფილებაა საჭირო საინფორმაციო, საზოგადოებასთან ურთიერთობისა, მასმედიასთან ურთიერთობისა და მუნიციპალიტეტის პიარით უზრუნველყოფის საკითხებში. მუნიციპალიტეტს არ გააჩნია გაზეთი, როგორც საკუთარი ორგანო.
- ❖ არასაკმარისია კომისიების, ფრაქციების, აპარატის მუშაობისათვის საჭირო ფართი. შესაძენია მიმართებული აბრები, 1 საშუალო ზომის სეიფი, კომპიუტერული მოწყობილობებისათვის საჭირო მოთხოვნები გაგზავა მერიას, რომელთა ნაწილი დღემდე არ დაკმაყოფილებულა.
- ❖ საკრებულოს აპარატი პანდემიის არსებობის პირობებში და შემდგომაც ეცდება მაქსიმალურ დონეზე შეასრულოს თავისი უფლება-მოვალეობები.
- ❖ მე როგორც საკრებულოს აპარატის უფროსი მიმაჩნია, რომ აპარატის თანამშრომლების მუშაობა შევაფასო დადებითად.

კობა მაღლაკელიძე

საკრებულოს აპარატის უფროსი